

Image not found or type unknown



საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი იწვევს ჟურნალისტებს ტრენინგზე “მედია და არჩვნები”

საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი იწვევს ჟურნალისტებს ტრენინგზე:

“მედია და არჩვნები”

ტრენინგი ორდღიანია და ჩატარდება ვარძიაში, სასტუმრო ვარძია რეზორტში, www.vardziaresort.com 2016 წლის 29-30 ივლისს. (გამგაზვრება და სასტუმროში განთავსება 28 ივლისს) მასში მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

ტრენინგს ორგანიზებას უწევს საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.

ტრენინგის ფინანსური მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ეგიდით, პროექტის – ძლიერი მედია სამართლიანი არჩევნებისათვის ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 3 იდენტური ტრენინგის ჩატარება. თითოეულ ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება 22-24 ჟურნალისტით. ამ ეტაპისთვის კონკურსი გამოცხადებულია მხოლოდ პირველი ტრენინგის მონაწილეთა შესარჩევად. დანარჩენი 2 ტრენინგი ჩატარდება სექტემბრის პირველ ნახევარში, რომელთა ჩატარების ბუსტი დრო და ადგილი ჯერ-ჯერობით დაუზუსტებელია და ცნობილი გახდება კონკურსის გამოცხადების დროს.

ტრენინგზე განხილული იქნება შემდეგი თემები:

1. არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მედიის როლი
2. არჩევნების სამართლებრივი საკითხები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



3. წინასაარჩევნო კამპანია და პროცედურები
4. არჩევნების დღის პროცედურები და წესები
5. საარჩევნო დავების განხილვა
6. მედია ორგანიზაციების მოვალეობები პოლიტიკური რეკლამების გაშუქებისას

ტრენინგს წარუძღვებიან მაღალკვალიფიციური ექსპერტები საარჩევნო საკითხებში.

პირველ ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ თანდართული [“პროგრამის მონაწილის ანკეტა”](#) და გადმოაგზავნონ არაუგვიანეს 22 ივლისის 18 საათისა, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: მეტრეველი@gyla.ge
პრეტენდენტები შეირჩევიან შევსებული აპლიკაციის განხილვის შედეგად.

ტრენინგთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (სასტუმროში ცხოვრება, კვება, მგზავრობა) უზრუნველყოფილი იქნება ტრენინგის ორგანიზატორის – იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ.

საკონტაქტო პირი:

ნინო ბადაშვილი – 577 31 43 85

თამარ მეტრეველი - 599 51 00 63